

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Batumi Art State Teaching University

**სტუდენტთა საერთაშორისო
კონფერენცია**

5-6 მაისი

პროგრამა

Students International Conference

5-6 May

Program

ბათუმი – 2016 – Batumi

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

ერმილე მესხია	რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი
მაია ჭიჭილეიშვილი	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
სოფიო თავაძე	სამეცნიერო და საგამომცემლო პროექტების მართვის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი
სალომე ჩიკაშუა	პროექტების მართვის განყოფილების სპეციალისტი
ბენეფშე თემიზკანი	საერთაშორისო პროექტების მართვის კოორდინატორი
გელა ბერიძე	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ნატო ცეცვიტინიძე	სტუდენტთა მომსახურების განყოფილების უფროსი
ნოდარ გელაძე	სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

კონფერენციის სამუშაო განრიგი

5 მაისი

- 10.00-10.15 – მონაწილეთა რეგისტრაცია
10.15-10.30 – კონფერენციის გახსნა. პლენარული სხდომა
10.30-12.00 – სესია I
12.00-12.30 – Coffee break
12.30-14.00 – სესია II
14.00-15.00 – ლანჩი
15.00-16.30 – სესია III
16.30-16.45 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა
16.45 – Coffee break

პლენარული სხდომა

10.15 – კონფერენციის გახსნა

ერმილე მესხია რექტორი, პროფესორი

მისალმებები

მაია ჭიჭილეიშვილი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

იასინ თემიზჯანი თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქ. ბათუმში

6 მაისი

10.30-12.30 კულტურული პროგრამა. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

რეგლამენტი:

მომხსენებელთათვის - 10 წთ.

კამათში მონაწილეებისათვის - 5 წთ.

სექცია: კულტურა

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: ბენეფშე თემიზქანი, დოქტორი

1. თეონა ქურიძე – მენეჯმენტის მნიშვნელობა კულტურაში

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: ნინო სანადირაძე, პროფესორი.

2. ვილდან იავუზი – თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები 2000-2015 წლებში

რიზეს რეჯეფ თაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი, დოქტორანტი.

3. ილჰამი თექინ ჯინემრე – ქალაქ ტრაპიზონის ისტორიული სიღრმე: კონფლიქტი და ჰარმონია

ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი.

4. ანა მიძიგური – რაჭის კულტურის რესურსები

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: ერმილე მესხია, პროფესორი.

12.30-14.00 - სესია II

მოდერატორი: ერმილე მესხია, პროფესორი

1. მარიამ ყურაშვილი – Product Placement კინემატოგრაფში, როგორც მარკეტინგული PR-ის ინსტრუმენტი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი.

2. ბელგინ ილმამი – კულტურული ლანდშაფტების ფარგლებში ანატოლიის თურქული კულტურის მცენარეები და ტრადიციულ თურქულ ხელნაკეთ ნივთებზე მოტივებად გამოყენება

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

3. ქამერ ილგინ ჩაქიროღლი – სეზონური პერსპექტივიდან საქართველოს ადგილი თურქეთის ტურიზმში

რიზეს რეჯეფ თაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

4. ანა პაიჭაძე – ოზურგეთის კულტურის რესურსები

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, IV კურსი.

ხელმძღვანელი: ერმილე მესხია, პროფესორი.

15.00-16.30 - სესია III

მოდერატორი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი

1. გოქჩე იაღჯიოღლი – ხელოვნების, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის ტრაპიზონის ტურიზმზე ასახვა

ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

2. ლევან გორგილაძე – კოპროდუქცია როგორც ქართული კინოინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი.

3. ჯანან აჩიქოზი – ეკოტურიზმი და ართვინი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

4. დათო ნადირაძე – კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებაში

აშშ-ს სამხრეთ იუტას უნივერსიტეტი, არტ ადმინისტრირების უმაღლესი სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა, I კურსი.

ხელმძღვანელი: რეიჩელ პარკერ ბიშოპი, პროფესორი.

სექცია: ხელოვნება

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: რატი ჩიბურდანიძე, ასოცირებული პროფესორი

1. დავით ნიორაძე – ფიგურული რელიეფები ეკლესიის გუმბათებზე. მხატვრული და აზრობრივი მნიშვნელობა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, IV კურსი.

ხელმძღვანელი: ნატო გენგიური, პროფესორი.

2. თათია თევდორაშვილი – XII-XIII საუკუნეების სვანურ „ხალხურ“ მოხატულობათა რამდენიმე თავისებურება

თბილისის აკ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, I კურსი.

ხელმძღვანელი: მარინე ყენია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

3. ნანა დოლიძე – შუა საუკუნეების ევროპული დიდაქტიკური დრამა (მორალიტე)

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, დრამისა და კინოს სამსახიობოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, I კურსი.

ხელმძღვანელი: თეიმურაზ კეჭერაძე, ასოცირებული პროფესორი.

4. ნინო დარახველიძე – ფსიქო დრამა სათეატრო ხელოვნებაში (ჰენრიკ იბსენის პიესის – „ნორას“ – მაგალითზე)

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, IV კურსი.

ხელმძღვანელი: თამარ ცაგარელი, ასოცირებული პროფესორი.

5. თამარ ჭაკნელიძე – მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: რატი ჩიბურდანიძე, ასოცირებული პროფესორი.

12.30-14.00 - სესია II

მოდერატორი: თეიმურაზ კეჭერაძე, ასოცირებული პროფესორი

1. ლინდა ხალვაში – „კავკასიური ცარცის წრის“ სტრუქტურული ინტერპრეტაცია

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, დრამისა და კინოს სამსახიობოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: თეიმურაზ კეჭერაძე, ასოცირებული პროფესორი.

2. მარიამ მიქაძე – რელიგიური ასპექტები ვერა ფაღავას შემოქმედებაში

თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, I კურსი.

ხელმძღვანელი: ანა კლდიაშვილი, პროფესორი.

3. გიორგი კიკნაძე – ჩვენი ეზოს ქანდაკებები

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

4. ლიკა იობიძე – ბათუმის ბულვარის ისტორია (განვითარების ეტაპები)

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

5. დარო სირაბიძე – ეროვნული სამოსი - კულტურის საუნჯე

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: ნათია კვაჭაძე, ხელოვნებათმცოდნე.

სექცია: მუსიკა

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი

1. შორენა მეტრეველი – გიორგი მთაწმინდელის და იოანე მინჩხის პოეზია რამდენიმე საუფლო დღესასწაულის ჰიმნოგრაფიული კანონის მაგალითზე

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საეკლესიო მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: თამარ ჩხეიძე, ასოცირებული პროფესორი.

2. თეონა უგულავა – მიკროტონურობა XX საუკუნის მუსიკაში – ზოგიერთი თეორიული ასპექტი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკის თეორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: მარიკა ნადარეიშვილი, ასოცირებული პროფესორი.

3. სალომე სალაძე – ბელინის ოპერა „ნორმა“ და მისი თანამედროვეობა

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, აკადემიური სიმღერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი.

4. მონაზონი ნინო სამხარაძე – ვარიანტულობის პრინციპი ქართულ საეკლესიო საგალობელში (წირვის საგალობლის „და ვითარცა“-ს 4 ვარიანტის მაგალითზე)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საეკლესიო მუსიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: ლეილა მარუაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

12.30-14.00 - სესია II

მოდერატორი: ლოლიტა სურმანიძე, ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი

1. მანანა გაბარაშვილი – ი. ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“

ტრადიციების ახალი სიცოცხლე (გ. ჯაფარიძის ციკლის „24 პრელუდია და ფუგა სოლო გიტარისთვის“ მაგალითზე)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკის მცოდნეობის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, I კურსი.

ხელმძღვანელი: ლეილა მარუაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

2. მარიამ მეფარიშვილი – ისტორია ჰიმნებში და ჰიმნი ისტორიაში

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკის ისტორიის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.

ხელმძღვანელი: მარინა ქავთარაძე, პროფესორი.

3. გვანცა თარხნიშვილი, ზაირა ბოკუჩავა – მოცარტის ადრეული ოპერები

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, აკადემიური სიმღერის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა, II კურსი.

ხელმძღვანელი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი.

თეზისები

კულტურა

თეონა ქურიძე

მენეჯმენტის მნიშვნელობა კულტურაში

კულტურის სფეროს მენეჯმენტზე საუბარი მეოცე საუკუნის ბოლოს იწყება და უნდა აღინიშნოს, რომ კულტურისა და კულტურის სფეროს მენეჯმენტი განსხვავებული ცნებებია. კულტურის სფეროს ცნებაში გარდა შემოქმედებითი პროცესებისა, იგულისხმება კულტურის ეკონომიკის, სამართლის, დაფინანსების, მართვის, ინფორმირების, პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვათა ერთობლიობა.

თანამედროვე სამყაროში მენეჯმენტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც მიუხედავად მისი ახალგაზრდა სამეცნიერო ასაკისა, საუკუნეებს ითვლის თავისი გამოხატვის ფორმებითა და შედეგებით.

თემაში წარმოდგენილია კულტურის სფეროს მენეჯმენტის მნიშვნელობა კულტურის განვითარებისა და გავრცელებისთვის.

ვილდან იავუზი

თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები

2000-2015 წლებში

გლობალიზაციის შედეგად, მსოფლიო ერთიან ბაზრად მოიაზრება. ქვეყნები ცდილობენ, უკეთ შეისწავლონ თავიანთი ბაზარი და უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა. ბაზრის შესაძლებლობების გამოსაყენებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მდგრად ურთიერთობებს. თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები ამის ნათელი მაგალითია.

1992 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი ურთიერთობების წარმოებას. 2006 წელს დაწყებული სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ფარგლებში, მოქალაქეებს მიეცა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა. ხოლო 2011 წელს გაფორმებული

შეთანხმებით, ორივე ქვეყნის მოქალაქეებმა მოიპოვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით საზღვრის კვეთის უფლება.

კვლევის მიზანია, 2000-2015 წლებში თურქეთ-საქართველოს შორის საზღვრის კვეთის, საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, უპასპორტო მიმოსვლის დაწყებამდე და შემდგომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების შეფასება სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ილჰამი თექინ ჯინემრე

ქალაქ ტრაპიზონის ისტორიული სიღრმე: კონფლიქტი და ჰარმონია

ტრაპიზონი, შავი ზღვის აღმოსავლეთ რეგიონის ცენტრი, თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობითა და ისტორიული ფონით, ხშირად ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციისა და კულტურის ინტერესის ობიექტი. ბერძნული კოლონიზაციიდან დაწყებულმა ისტორიულმა პროცესებმა ტრაპიზონი აქცია არა მარტო იმპერიის დედაქალაქად, არამედ ანატოლიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარედ. დროთა განმავლობაში ტრაპიზონმა შეითავსა სხვადასხვა ცივილიზაციის ნიშნები. აქედან გამომდინარე, მას საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი კულტურა გააჩნია. ტრაპიზონის ისტორიაზე უდიდესი გავლენა იქონია მითრაიზმმა, ქრისტიანობამ და რა თმა უნდა, ისლამმა. ამ რელიგიურმა მრავალფეროვნებამ განაპირობა ტრაპიზონის ხელოვნებისა და ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრად ქცევა.

კვლევის მიზანია ტრაპიზონის ისტორიული კონტექსტის გამოკვეთა და არქიტექტურული ძეგლებისა და კულტურათაშორისი გაცვლის შესწავლა.

ანა ძიძიგური

რაჭის კულტურის რესურსები

მხარის კულტურის რესურსების შესწავლა ხელს შეუწყობს მუნიციპალურ დონეზე კულტურის განვითარების საკითხის წინ წამოწევასა და კულტურის მიმართულებით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, კულტურის დაგეგმვას და დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მოხსენების მომზადებაში დიდი სამსახური გაგვიწია 2014 წელს გამოცემულმა წიგნმა „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები“. სიღნაღის კულტურის რესურსების შესწავლის გამოცდილება დაგვეხმარა ჩვენს მიერ არჩეული თემის მომზადებაში. წარმოდგენილი გვაქვს რაჭის მუნიციპალიტეტები თავისი ეკლესია-მონასტრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, ტრადიციებით, ფოლკლორით და სამზარეულოთი.

მარიამ ყურაშვილი

Product Placement კინემატოგრაფში როგორც მარკეტინგული PR-ის ინსტრუმენტი

Product Placement – ეს არის არასტანდარტული მარკეტინგის გზით პროდუქტის/ბრენდის რეკლამა (ფილმებში, ტელევიზიაში ან სხვა მედიასაშუალებებში). მისი ძირითადი დანიშნულებაა პროდუქტის/ბრენდის იმგვარად გათამაშება აუდიტორიის წინაშე, რაც ფარულად ჩაატარებს პროდუქტის/ბრენდის სარეკლამო კამპანიას. მაყურებელი ამ ყოველივეს დებულობს ჩვეულებრივ ამბად და არ ფიქრობს იმაზე, რომ მას სთავაზობენ კონკრეტულ ბრენდს. Product Placement-ის უპირატესობა ისაა, რომ ის ორგანულად ერწყმის ფილმის სიუჟეტს. ამიტომ მისი გამოჩენა არ იწვევს მაყურებლის გაღიზიანებას და არ ქმნის იმ ბარიერებს, რომელიც აქვეითებს ტრადიციული რეკლამის მიმდებლობას.

Product Placement არის არა კინოხელოვნების, არამედ მარკეტინგისა და გაყიდვების დინამიური პროცესი, რითაც მაყურებელზე ხდება ზემოქმედება შემდგომში ამა თუ იმ პროდუქტის ყიდვის მოტივაციის გაზრდის მიზნით.

ბელგინ ილმამი

კულტურული ლანდშაფტების ფარგლებში ანატოლიის თურქული კულტურის მცენარეები და ტრადიციულ თურქულ ხელნაკეთ ნივთებზე მოტივებად გამოყენება

კულტურული ლანდშაფტი – ეს არის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად შეცვლილი გეოგრაფიული ლანდშაფტი. კულტურულ და ბუნებრივ ლანდშაფტს შორის არ

არსებობს დიდი ზღვარი: კულტურულ ლანდშაფტში შენარჩუნებულია გეოლოგიური აგებულება და ჰავის ძირითადი თავისებურებანი.

ერის მიერ ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბებული ენა, რელიგია, ტრადიციები, ადათ-წესები, ხელოვნება, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ერთიანობა ქმნის კულტურას. კულტურული ლანდშაფტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ამყარებს კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის. ტრადიციული ეროვნული ხელთნაკეთობები, სამოსი, არქიტექტურა, სამზარეულო და სხვა – კულტურული ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილია. ხალხური შემოქმედება და ხელთნაკეთობები გამოხატავს ერის კულტურულ თავისებურებებს, რის გამოც მას „ტრადიციულ ხელოვნებასაც“ უწოდებენ.

ანატოლიის მრავალი ცივილიზაციის კულტურამ, თურქების დასახლების შემდეგ ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა და არსებობა განაგრძო.

ქამერ ილგინ ჩაქიროღლუ

სეზონური პერსპექტივიდან საქართველოს ადგილი თურქეთის ტურიზმში

ტურიზმის სექტორი, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით, არის ლოკომოტივი როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ბოლო მონაცემების მიხედვით, 2014 წლის საექსპორტო შემოსავლებში საერთაშორისო ტურიზმის წვლილმა 1.5 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ამავე დროს, გასულ წლებთან შედარებით ტურისტების რაოდენობა 4.4%-ით გაიზარდა და 2015 წელს 1.2 მილიარდს შეადგინა.

მსოფლიოს საუკეთესო ტურისტული დესტინაციის ათეულის მიხედვით, თურქეთი ტურისტების რაოდენობით მეექვსე ადგილზეა. თავისი ბუნებრივი სილამაზით, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით, განვითარებადი ტურისტული ინფრასტრუქტურითა და სტუმართმოყვარეობის ტრადიციებით, თურქეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ დესტინაციად გადაიქცა.

კეთილმეზობლური ურთიერთობები, ისტორიული და კულტურული კავშირები მოქალაქეების ურთიერთმიმოსვლას ნიადაგს უმზადებს. ამ კონტექსტში, თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს 2016 წლის იანვრის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველო მეორე ქვეყანაა, რომელთანაც თურქეთს ინტენსიური მიმოსვლა გააჩნია.

ოზურგეთის კულტურის რესურსები

საქართველოში ქვეყნის მხარეებისა და მუნიციპალიტეტების კულტურის რესურსების კვლევას არ ექცევა სათანადო ყურადღება. კულტურის რესურსების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის სტრატეგიის შემუშავებისათვის, აგრეთვე, ტურიზმის განვითარებისათვის.

ინტერნეტრესურსების გამოყენებით შევისწავლეთ გურიის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის – ოზურგეთის კულტურის რესურსები. განხილული გვაქვს მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა, აღნიშნულ რეგიონში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნებო დაწესებულებების, ეკლესიების, ტაძრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კურორტების, თეატრის დაარსებისა და განვითარების ეტაპები, ტრადიციები და გურული სამზარეულოს თავისებურებანი.

გოქჩე იაღჯიოღლუ

ხელოვნების, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის

ტრაპიზონის ტურიზმზე ასახვა

ისტორიული და სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით, ტრაპიზონი ითვლება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ქალაქმა სხვადასხვა დროს კულტურული ცვლილებები განიცადა. ტრაპიზონმა შეითავსა სხვადასხვა კულტურათა მოტივები და გახდა ერთ-ერთი იშვიათი გეოგრაფიული არეალის მქონე რეგიონი. შედეგად, კულტურის სფეროში მდიდარი წარსულის მქონე ქალაქი ტრაპიზონი, მოკლე დროში ტურიზმის თვალსაზრისითაც სწრაფად განვითარებად რეგიონად გადაიქცა.

ტრაპიზონის კულტურული კოდებისა და ისტორიული მემკვიდრეების საფუძველზე ჩატარებული აღნიშნული კვლევის მიზანია ტრაპიზონის რეგიონისთვის დამახასიათებელი კერძების, მუსიკის, ხალხური საკრავების, ტრადიციული სამოსის, ხელთნაკეთობების, ტრაპიზონის ტრადიციებისა და ადათ-წესების ამსახველი ფოლკლორული ელემენტების გაცნობა და მათი როლის გამოკვეთა რეგიონის კულტურული ტურიზმის ეფექტურობაში.

**კოპროდუქცია როგორც ქართული კინოინდუსტრიის განვითარების
მნიშვნელოვანი ფაქტორი**

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული კინოწარმოების აქტიური ფაზა 2004-2005 წლებიდან იწყება. ამ პერიოდამდე, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ფილმების წარმოების გამოცდილება ფრაგმენტული და არასტაბილურია.

ქართული ფილმების გადასაღებად გამოყოფილი თანხის სიმწირე, მწარმოებლებს აიძულებს ეძებონ დამატებითი შემოსავლები ფილმის გადასაღებად. ამისათვის მნიშვნელოვან ხელისშემწეობს გარემოს ქმნის კოპროდუქცია.

კოპროდუქცია ნიშნავს ისეთ კინემატოგრაფიულ ნამუშევარს, რომლის შექმნაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. კოპროდუქცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთობლივი კინემატოგრაფიული პროდუქციის შექმნით, არამედ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციის თვალსაზრისითაც. ქართულ კინოკომპანიებს აქვთ სხვადასხვა ქვეყნებთან ფილმების ერთობლივად წარმოების გამოცდილება.

ნაშრომში ასევე საუბარია აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის მეშვეობით არაერთი მნიშვნელოვანი კინოპროექტი დაფინანსდა და შეიქმნა კოპროდუქციის საინტერესო ნიმუშები.

ჯანან აჩიქგოზი

ეკოტურიზმი და ართვინი

ეკოტურიზმი – ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, რომლის მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური თუ კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები და ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

1992 წლიდან ცნება „ეკოტურიზმი“ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება და ტურიზმის ამ სახეობის მიმართ მოთხოვნა მკვეთრად იზრდება. გაეროს მიერ 2012 წელი ეკოტურიზმის წლად გამოცხადდა.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში მომხდარი ცვლილებების შედეგად, საზოგადოება ირჩევს არა ჩვეულ ტურისტულ ცენტრებს, არამედ მათგან მოშორებით არსებულ ბუნებრივ სილამაზეს და სუფთა გარემოს.

ეკოტურიზმის თვალსაზრისით, თურქეთი გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებით, ბუნებრივი რესურსებით, კულტურით, სტუმართმოყვარეობით. მას გააჩნია პოტენციალი, რომელიც ტურისტებს იზიდავს: მაღალმთიანი რეგიონების კულტურა, ისტორიული ძეგლები, ფლორა, ფაუნა, ტყეები, მდინარეები, ტბები და სხვა.

დათო ნადირაძე

კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოში კულტურა და ხელოვნება როგორც საზოგადოების, ასევე ეკონომიკის, ტურიზმის, განათლების და სხვა მრავალი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ეფექტურობის გაზრდის გზით სტიმულირებას აძლევს სახელმწიფო სისტემებს.

კულტურა და ხელოვნება გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებაში, მიმზიდველს ხდის ეკონომიკურ გარემოს, უყალიბებს სტუდენტებს კრიტიკულ აზროვნებას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სწავლის პროცესში, გარდაქმნის სიღარიბით მოცულ ადგილებს გამოცოცხლებულ კულტურულ უბნებად, რისკის ზღვარზე მყოფ ახალგაზრდებში აღვივებს ჰუმანურ ინტერესებს, ახალისებს დიალოგებს კონფლიქტურ რეგიონებთან და მიმზიდველს ხდის ქალაქებს მოგზაურებისა და ტურისტებისათვის.

თანამედროვე სახელოვნებო კვლევები და დაგროვილი გამოცდილება ნათლად ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ფაქტების უტყუარობას და საშუალებას აძლევს არტ ადვოკატებს, მოიპოვონ მეტი დაფინანსება ხელოვნებისა და კულტურისათვის აღნიშნული ფაქტებით არგუმენტირების გზით.

ხელოვნება

დავით ნიორაძე

ფიგურული რელიეფები ეკლესიის გუმბათებზე.

მხატვრული და აზრობრივი მნიშვნელობა

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში გუმბათოვან ტაძრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გუმბათი ეკლესიის დამაგვირგვინებელი ნაწილია და მის გამოყოფას სხვადასხვა მხატვრული ხერხით ცდილობდნენ. განვითარებულ შუა საუკუნეებში ქართულ ხუროთმოძღვრებაში გაიზარდა გუმბათის სიმაღლე და დეკორით შემკობა. ეს პროცესი კარგად ჩანს X-XI საუკუნეებში. ამ პერიოდიდან შემორჩა ისეთი გუმბათები, რომელთა დეკორშიც ორნამენტული ჩუქურთმის გარდა, ფიგურული რელიეფებიც გვხვდება. ეს, ერთი მხრივ, გუმბათის მხატვრული თავისებური გაფორმებაა, ხოლო მეორე მხრივ, რელიეფებს სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. საინტერესოა, როგორია ამ რელიეფების მნიშვნელობა, როგორ უკავშირდება ის ქრისტიანობას და უძველეს წარმოდგენებს, როგორ გადმოიღო ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული რელიგიებიდან სიმბოლიკა და მისი ტრანსფორმაცია მოახდინა. თემაში შევეცდებით გავაანალიზოთ ფიგურული რელიეფების მხატვრული და აზრობრივი მნიშვნელობა X-XI საუკუნეების რამოდენიმე ტაძრის გუმბათის მაგალითზე. რელიეფებს განვილიხავთ, როგორც გუმბათის მხატვრული კომპოზიციის შემადგენელ ნაწილს, მათი კვეთის მხატვრულ თავისებურებებს და სიმბოლიკას.

თათია თევდორაშვილი

XII-XIII საუკუნეების სვანურ „ხალხურ“ მოხატულობათა

რამდენიმე თავისებურება

ქართულ კედლის მხატვრობაში „ხალხური“ ნაკადის მოხატულობები ზემო სვანეთში საკმაოდ ადრე, XII-XIII სს-ებში ჩნდება (ცალდაშის მაცხოვრის, წვირმის წმ. გიორგის, ადიშის მთავარანგელოზთა (XII ს.), თანლილის, ხეს წმ. ბარბარეს (XIII ს.) სახელობის ტაძრები). მოხატულობები განსხვავებული სტილური მახასიათებლების მიხედვით ამჟღავნებენ „ხალხურობას“.

XII ს-ის ნიმუშები და XIII ს-ის თანლილის მხატვრობა სისტემის განაწილებისას „ხალხურობისათვის“ სახასიათო, ე.წ. „ხალიჩისებურ“ პრინციპს მისდევს, XIII ს-ის ხეს წმ. ბარბარეს ტაძრის მხატვრობა კი ამ ნიშნით თანადროულ პროფესიულ მოხატულობებს უახლოვდება. სანაცვლოდ, XII ს-ის ნიმუშთა და XIII ს-ის თანლილის მხატვრობა წერის მანერით „ხალხურობას“ ნაკლებად ამჟღავნებს, მაშინ, როდესაც ხეს წმ. ბარბარეს ტაძრის მოხატულობაში სწორედ წერის მანერა ხდება მისი „ხალხურობის“ ძირითადი განმსაზღვრელი.

ნანა დოლიძე

შუა საუკუნეების ევოპული დიდაქტიკური დრამა (მორალიტე)

გვიანი შუა საუკუნეების (XVI ს.) ევროპაში ქალაქების ზრდასთან ერთად რეფორმისტულმა მოძრაობამ მოიცილა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა. აღნიშნული პერიოდის ადამიანის სიმართლის საზომად გადაიქცა არა განუსჯელი შესრულება საეკლესიო წესებისა, არამედ „პირადი სათნოება“, რისთვისაც აუცილებელი იყო ეკლესიური სულიკვეთებისა და საერო ფორმის მასობრივი სანახაობის შექმნა.

დამრიგებლური ჟანრი – მორალიტეს აღმოცენების მომენტში ევროპაში გაბატონებული იყო მისტერია და ამ ახალი ჟანრის თავისებურებებს მისტერიალური წარმოდგენები შეიცავდნენ.

მისტერია ყოველთვის დიდაქტიკურ მიზანს ისახავდა, მაგრამ მისტერიების დიდაქტიკა რელიგიური ისტორიებში იყო მოქცეული, ხოლო ახლადწარმოქმნილი თეატრალური ჟანრის – მორალიტეს ძირითადი ნიშანი მისი პერსონაჟების ალეგორიულობა იყო. რეალური მოვლენები მორალიტეში წარმოდგენილი იყო არა მისი უშუალო სახით, არამედ განყენებულად. ალეგორიებს სრულიად რეალური საფუძვლები ჰქონდათ (ომი, მშვიდობა, შიმშილი, სიძუნწე, გარყვნილება, მამაცობა, მორჩილება და სხვა) და განსხეულებული იყო კონკრეტულ პერსონაჟ-სიმბოლოებში. ყოველ ალეგორიულ პერსონაჟს შესაბამისი თვალსაჩინო ნიშნები ჰქონდა, რომელთა მიხედვითაც მაყურებელს უნდა გამოეცნო მისი ალეგორიული მნიშვნელობა.

გონიერი ადამიანები სათნოების გზით მიდიან, უგუნურნი კი ბიწიერების მსხვერპლნი ხდებიან – ამ ძირითად დიდაქტიკურ აზრს სხვადასხვა სახით ამტკიცებდა მორალიტეს წარმოდგენები.

**ფსიქო დრამა სათეატრო ხელოვნებაში
(ჰენრიკ იბსენის პიესის – "ნორას" – მაგალითზე)**

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგია არის მეცნიერება ადამიანის ფსიქიკურ კანონზომიერებათა შესახებ. ტერმინი ფსიქოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან: ფსიქე (რაც სულს ან/და „თვითს“ (Self) ნიშნავს) და ლოგოს (მოდღვრება). ბერძნები ამ ტერმინით განსაზღვრავდნენ იმას, რაც განაპირობებს ადამიანურ საქციელს.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამდენად მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგია ხელოვნებასთან და კონკრეტულად თეატრთან (დრამასთან ან ლიტერატურულ ნაწარმოებთან). სწორედ თეატრი იყო ის, რამაც საშუალება მისცა იაკობ მორენოს, შეექმნა ფსიქოთერაპიის ერთ ერთი მეთოდი „ფსიქოდრამა“.

ნორვეგიელი დრამატურგი ჰენრიკ იბსენი ითვლება ფსიქოლოგიური დრამის ფუძემდებლად. იბსენისეულია თეატრი, როგორც გამოსახვა ფსიქოლოგიური და სულიერი „მე“ განცდებით, რასაც მოჰყვა დრამატული მოქმედების სტრუქტურის დაშლა თავისუფლად დაკავშირებულ სურათების რიგად, ე.წ. „სადგურების დრამად“ ან ქორულ-ორატორულ განწყობლების თამაშად, რომელშიც მტკიცე მოქმედებების ჩარჩო უგულვებელყოფილია.

საინტერესოა ნორას ფსიქო სახე იბსენის „თოჯინების სახლში“. ეს პერსონაჟი ფსიქოლოგიური განვითარების გზას გადის „თოჯინიდან პიროვნებად“ და ფსიქოლოგიურ დონეზე თავიდან „იზადება“.

მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი

ფელიქს ვარლამიშვილი ის ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსია, რომლის შემოქმედებასაც ფართო მასები ცოტახნის წინ გაეცნო. ის 1928 წელს გაემგზავრა ემიგრაციაში და მთელი დარჩენილი ცხოვრების წლები პარიზში გაატარა. 1945 წლიდან ფელიქს ვარლამიშვილი შემოდგომის სალონის მუდმივი წევრი გახდა, სადაც პოლ სეზანის, პოლ გოგენის, პაბლო პიკასოს, ამედეო მოდილიანის გვერდით ქართველი მხატვრებიც სისტემატიურად იფინებოდნენ (ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი).

ვარლას გრაფიკულმა თუ ფერწერულმა ნამუშევრებმა საზოგადოების ყურადღება მალევე მიიპყრო. მას დიდი აღიარება მოუტანა ბუენოს-აირესის ცნობილმა გამოფენამ 1950 წელს, რის შემდეგაც მრავალ ქვეყანაში წარმატებით იფინებოდა.

ფ. ვარლამიშვილის შემოქმედებას ახასიათებს ფორმების უტრირება, სტილიზაცია, დინამიკურად გააზრებული კომპოზიციური სტრუქტურა. იგი შორს დგას სამყაროს რეალისტური ასახვისაგან, მხატვარი ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვითმყოფად გარემოს, რომელიც სხვადასხვა სიმბოლური თუ სიურეალისტური ელემენტებით ხასიათდება. მხატვრის კომპოზიციები ექსპრესიული ძალით და გამომსახველობით გამოირჩევა, განწყობა საოცრად ლაღი და თავისუფალია, კოლორისტული გამა თავშეკავებული და სადაა. შემოქმედის მსოფლალქმა ეხმიანება მის თანადროულ მოდერნისტულ მხატვრობას.

ლინდა ხალვაში

„კავკასიური ცარცის წრის“ სტურუასეული ინტერპრეტაცია

ბრეჰტის ეპიკური დრამა ქართულ სცენაზე საკმაოდ გვიან გამოჩნდა, რასაც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველად ბრეჰტის „სამგროშიანი ოპერა“ დიმიტრი ალექსიძემ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დადგა რუსთაველის თეატრში, რასაც მოყვა რობერტ სტურუას „სეჩუანელი კეთილი ადამიანები“ და „კავკასიური ცარცის წრე“ (1975 წ.).

„კავკასიური ცარცის წრე“-მდე ქართულ სცენაზე დადგმულ ბრეჰტის პიესებს არაერთგვაროვანი შეფასებები ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება „ცარცის წრეს“, მან ბრეჰტის ესთეტიკის რევიზიონისტთა დაბნეულობა და ზოგიერთი დოგმატიკოსი ბრეჰტიანელის გულისწყრომა გამოიწვია. სტურუასეული „ცარცის წრის“ ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა და დავა დიდხანს გაგრძელდა, თუმცა ყველამ ერთხმად აღიარა, რომ რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრე“ ეპოქალური მნიშვნელობის კულტურული მოვლენაა.

მარიამ მიქაძე

რელიგიური ასპექტები ვერა ფალავას შემოქმედებაში

ფრანგულ სახელოვნებო სივრცეში მიღებულ და დაფასებულ ქართველ მხატვარს ვერა ფალავას (1907-1988) 1921 წლის მოვლენებმა, საბჭოთა რეჟიმმა სამშობლო წაართვა და

საფრანგეთში ემიგრაცია მოუხდა, სადაც ჩამოყალიბდა კიდევ როგორც პიროვნება და მხატვარი, აბსოლუტურად დაუკავშირდა ევროპულ კულტურას და იქ მიმდინარე პროცესების თანმდევი გახდა.

ვერა ფალავა რელიგიურ თემას ადრეულ პერიოდშივე ეხება და შემდგომში მის შემოქმედებას მუდმივ საფიქრალად გასდევს, რაც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იმ პერიოდის ევროპაში, როდესაც მხატვარი მოღვაწეობდა, აბსოლუტურად არ იყო აქტუალური რელიგიური თემის ხატვა, მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ცუდ ტონადაც კი ითვლებოდა. ამგვარად, ფალავასეული რელიგიური სცენების მნიშვნელოვნება დიდია როგორც ქართული, ასევე ფრანგული კულტურის კონტექსტში.

აპოლონური საწყისების მატარებელი, მოაზროვნე მხატვარი რელიგიური თემების სიღრმისეულ აქტუალიზებას ახეხებს, სადაც ჩანს, რომ ვერა ფალავა ევროპული, ფრანგული კულტურის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამავდროულად, მის ხელოვნებას ეროვნულ საწყისებამდე მივყავართ და დაგვანახებს ფალავას შემოქმედებაში მხატვრის გააზრებით თუ თავისდაუნებურად, ინტუიციურად გენეტიკური მეხსიერებით შემოჭრილ ქართული კულტურის კვალს.

გიორგი კიკნაძე

ჩვენი ეზოს ქანდაკებები

ჩვენი ეზოს ქანდაკებები 2011 წელს ბათუმში ჩატარებული საერთაშორისო პლენერის პროექტის ფარგლებში შეიქმნა. სკულპტურები განთავსდა ბულვარისა და იუსტიციის სახლის მიმდებარე ფართო გამზირზე. 2012 წელს 4 მათგანი გადმოიტანეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ეზოში. ქანდაკებების ავტორებია: კორეელი მოქანდაკე ჰვანგ სეუნგვუ („ფურცლების გროვა“), ესპანელი მიგელ ისლა („ინტროსპექცია“), ქართველი სკულპტორი ვალერიან ჯიქია („ენერჯის სუბსტანცია“) და სერბი მოქანდაკე გიორგი (ჯორჯ) სპაჟაკი („სარკმელი“). ქანდაკებებს გამოარჩევს საინტერესო მხატვრულ-სივრცობრივი გადაწყვეტა, ჩანაფიქრის აბსტრაქტული გააზრება, ფორმის გეომეტრიზება და ექსპრესიულობა.

ბათუმის ბულვარის ისტორია (განვითარების ეტაპები)

ბათუმის ბულვარი საბალე-საპარკო ხელოვნების ძეგლია. არსებობის ასოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე ბულვარმა განვითარების არაერთი ეტაპი განვლო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობა შეიძინა. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ბულვარის გეგმარება, გამწვანების ხასიათი და მხატვრული კონცეფცია, რომელიც ხეივნების, მწვანე ნაკვეთების, არქიტექტურული და სკულპტურული ფორმების სინთეზს დაეფუძნა. ბულვარი წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც შეიქმნა როგორც წყნარი, ისე აქტიური დასვენებისათვის. განვითარების ყოველ ეტაპზე ბულვარის განაშენიანება ავლენს თანადროული ეპოქის კვალს. თანამედროვე პერიოდში შეინიშნება მწვავე პრობლემები, რაც საბალე-საპარკო სივრცეში საზოგადოებრივი ობიექტების ჭარბად განთავსებასა და მწვანე საფარის შემცირებაში იჩენს თავს.

დარო სირაზიძე

ეროვნული სამოსი - კულტურის საუნჯე

ქართული ეროვნული ტანსაცმელი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ურთულესი ისტორიული პირობებისა, მან თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზის მანძილზე შეძლო საკუთარი ტრადიციების, მხატვრული ინდივიდუალობისა და ქართული ხასიათის შენარჩუნება. საქართველოს თითოეულ კუთხეს მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებლად თვითმყოფადი და კოლორიტული სამოსი ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მთის რეგიონის ტანსაცმელი გამოირჩეოდა. საქართველოს მთიანი რეგიონის სხვადასხვა კუთხის ტანსაცმელი ძირეულად განსხვავდებოდა ბარის ტანსაცმლისაგან, რაც განსაკუთრებით აისახებოდა ქალის ტანსაცმელში, რადგან მამაკაცის ძირითად სამოსს როგორც მთაში, ისე ბარში ტრადიციული ჩოხა-ახალუხი წარმოადგენდა.

ქართული ეროვნული კოსტიუმის შესწავლა ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს. განსაკუთრებით აქტუალურია ის დღეს, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი, მისი ისტორიისა და

კულტურისადმი. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში მნიშვნელოვანია ეროვნული ტრადიციების წარმოჩენა ფართო საზოგადოების წინაშე.

ქართული ეროვნული სამოსის, როგორც მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანია ქართული ქორეოგრაფიის წვლილი. ქართული ეროვნული ცეკვების წარმატებაში მნიშვნელოვანია საცეკვაო კოსტიუმების როლი, რომლებიც როგორც წესი, ქართული ეროვნული კოსტიუმის საფუძველზეა შექმნილი.

მუსიკა

შორენა მეტრეველი

**გიორგი მთაწმინდელის და იოანე მინჩხის პოეზია რამდენიმე საუფლო დღესასწაულის
ჰიმნოგრაფიული კანონის მაგალითზე**

მოხსენება თანამედროვეობისთვის აქტუალურ საკითხებს ეხმიანება. მასში წარმოდგენილია ქართველ ჰიმნოგრაფთა მემკვიდრეობა რამდენიმე საუფლო დღესასწაულის მაგალითზე. მუსიკალური კანონზომიერებების გამოვლენის მიზნით შესწავლილი და გაანალიზებულია მათ მიერ შექმნილ ჰიმნოგრაფიულ კანონთა მუსიკალური მხარე ვერბალური ტექსტის რიტმულ-მელოდიურ საზომებთან მიმართებით. ლიტურგიკული კრებულებისა და სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ხელნაწერთა შედარების საფუძველზე წარმოჩენილია მოცულობითი ჰიმნოგრაფიული მასალა, რომელსაც თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკა არ იცნობს. კვლევის შედეგები სასურველია დაუკავშირდეს ლიტურგიკულ პრაქტიკას, რომელიც გააცოცხლებს და კუთვნილ ადგილს დაუბრუნებს თითოეული დღესასწაულისთვის შექმნილ ჰიმნოგრაფიულ კანონთა ნაირგვარ ვერსიებს.

მიკროტონურობა XX საუკუნის მუსიკაში – ზოგიერთი თეორიული ასპექტი

მიკროტონურ სისტემას არსებობის დიდი ისტორია აქვს, თუმცა ეს ფენომენი XX საუკუნის მუსიკაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ტერმინით „მიკროტონურობა“ აღნიშნება სისტემა, სადაც ბგერებს შორის მანძილი ნახევარ ტონზე მცირეა.

კვლევის მიზანია მიკროტონური სისტემის განხილვა ისტორიულ და თეორიულ ასპექტებში, რამაც გამოკვეთა კვლევის მიზნები: დავაზუსტეთ ტერმინის დეფინიციის საკითხი, აღნიშნული სისტემა მიმოვიხილეთ ისტორიულ კონტექსტში, განვიხილეთ XX საუკუნის სამი სხვადასხვა პერიოდისა და სკოლის კომპოზიტორის მიკროტონური ნაწარმოებები: 1) ამერიკელი ჩარლზ აივზის პიესა №2 „მეოთხედტონური პიესებიდან“; 2) რუსი ავანგარდისტი ივან ვიშნეგრადსკის პრელუდია №2 მიკროტონული საფორტეპიანო პრელუდიების ციკლიდან; 3) პოლონელი კომპოზიტორის ქშიშტოფ პენდერეცკის “Threnody”. აღნიშნული ნიმუშების მაგალითზე განვიხილავთ მიკროტონული სისტემის გამოვლინების სხვადასხვა სახეებს, წარმოდგენილს სხვადასხვა ჰარმონიულ სისტემებთან თუ საკომპოზიციო ტექნიკებთან კონტექსტში. აგრეთვე – მიკროტონული სისტემის ნოტაციისა და შესრულების თავისებურებებს, რაც საკმაოდ აქტუალური, პრობლემატური და სისტემის განსაკუთრებულობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

სალომე სალამე

ბელინის ოპერა „ნორმა“ და თანამედროვეობა

„ნორმა“ – ერთ-ერთი პოპულარული ოპერაა, რომელიც დღემდე ამშვენებს წამყვანი საოპერო თეატრების რეპერტუარს. ოპერის პრემიერა შედგა 1831 წლის 26 დეკემბერს მილანის „Teatro alla scala“-ში. ლიბრეტოს ავტორი ფელიჩე რომანი ფრანგი პოეტისა და დრამატურგის – ა. სუმეს ტრაგედია „ნორმა“-ს დაეყრდნო. ბელინის ეს ოპერა განისაზღვრება როგორც ლირიკული ტრაგედია და შედგება ორი მოქმედებისაგან. აღსანიშნავია, რომ „ნორმას“ დადგმის დღიდან არ დაუკარგავს აქტუალობა, ის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა ცნობილი სოპრანოს რეპერტუარში.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ბელინის „ნორმას“ შესრულების თავისებურებებზე და მის ადგილზე თანამედროვე საოპერო რეპერტუარში.

**ვარიანტულობის პრინციპი ქართულ საეკლესიო საგალობელში
(წირვის საგალობლის „და ვითარცას“ 4 ვარიანტის მაგალითზე)**

მუსიკალური განვითარების ვარიანტული პრინციპი, როგორც წესი, ძირითადად ვოკალური და სასიმღერო მელოსის მეტრულ-სტრუქტურულ თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. ვარიანტულობა, რუსი თეორეტიკოსის ვ. ხოლოპოვას განმარტებით, „ნიშნავს თემატური განვითარების მეთოდს, რომელიც თემის სხვადასხვაგვარი სახით განახლებას გულისხმობს. ეს შეიძლება მოხდეს მელოდიური საქცევის გაფართოების ან შეკვეცის გზით“. მუსიკალური განვითარების ვარიანტულობის პრინციპი გამორჩეულად რელიგიურ-საკულტო ჰანგებს ახასიათებთ. ვარიანტული განვითარების ლოგიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ საეკლესიო მრავალხმიან მუსიკაში.

მოხსენების მიზანია განისაზღვროს, რა ფორმით ვლინდება ვარიანტულობის პრინციპი ქართულ საეკლესიო საგალობელში. ამ მიზნით წარმოვადგენთ საერთო მუსიკალური ჰანგის მქონე წირვის საგალობლის – „და ვითარცას“ 4 ვარიანტის შედარებით ანალიზს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საეკლესიო საგალობელში ვარიანტულობის პრინციპი სხვადასხვა მუსიკალურ პარამეტრებში იჩენს თავს. კერძოდ, იგი გამოვლენილია სიტყვისა და მუსიკის ურთიერთობის, მასშტაბების, ფაქტურისა და ხმათა შეწყობის დონეზე. საგალობელთა ვარიანტულობის მრავალფეროვანი ფენომენი, რომელიც ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, ქართული საეკლესიო მუსიკის მდიდარ ტრადიციას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

მანანა გაბარაშვილი

**ი. ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ ტრადიციების ახალი სიცოცხლე
(გ. ჯაფარიძის ციკლის „24 პრელუდია და ფუგა სოლო გიტარისთვის“ მაგალითზე)**

მოხსენების საკვლევი ობიექტია გ. ჯაფარიძის ციკლი „24 პრელუდია და ფუგა სოლო გიტარისთვის“. კომპოზიტორის პოლიფონიური აზროვნება ტრადიციებს ეყრდნობა და ყველაზე მკაფიო პარალელი უშუალოდ ი. ს. ბახის შემოქმედებასთან იკვეთება.

გ. ჯაფარიძის ციკლში, ბაროკოს სტილისადმი და კერძოდ – ი. ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ მოდელისადმი თავისუფალი და მიზანმიმართული მიმართვა, დიდი და მცირე პოლიფონიური ციკლის ჟანრების და ბაროკოსული კონტრაპუნქტის

ტექნიკის თანმიმდევრული გამოყენება, ჩაკეტილი ტონალური სისტემის ლოგიკაზე დაყრდნობა და, რაც ყველაზე მთავარია, ბახისეული ფუგის მოდელის შეგნებული ასახვა – ეს ის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეტანა დასკვნა – ი.ს. ბახის დიდი ციკლის ტრადიციებმა ახალი სიცოცხლე შეიძინეს გ. ჯაფარიძის ნაწარმოებში.

მარიამ მეფარიშვილი

ისტორია ჰიმნებში და ჰიმნი ისტორიაში

მოხსენება ეხება სახელმწიფო ჰიმნის ჟანრს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიმნის ჟანრის ნაირსახეობათა შორის, განიცადა მოდიფიკაცია და როგორც ამა თუ იმ ეპოქის ისტორიულმა დოკუმენტმა, თავისი კვალი დატოვა სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ისტორიაში. ამ თემას ვიხილავ XX საუკუნის საქართველოს ჰიმნების მაგალითზე.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ მე-20 საუკუნის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები შესაბამის სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში ზემოთ ჩამოთვლილ ნიშან-თვისებათა გათვალისწინებით.

კვლევის საგანია საქართველოს სამი სახელმწიფო ჰიმნი: 1. „დიდება“; 2. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი; 3. „თავისუფლება“.

გვანცა თარხნიშვილი, ზაირა ბოკუჩავა

მოცარტის ადრეული ოპერები

ჩვენ გადავწყვიტეთ გესაუბროთ მოცარტის ბავშვობაზე და მის ადრეულ ორ ოპერაზე.

„უბრალო-გულუბრყვილო ტყუილი“ – მოცარტის პირველი ოპერა-ბუფა, რომელიც მან დაწერა 12 წლის ასაკში, ეს არის სამ მოქმედებიანი ოპერა, რომელიც შედგება 25 ნომრისაგან. დაიწერა ავსტრიის იმპერატორის, იოზეფ II დაკვეთით. პრემიერა შედგა ზალცბურგში, 1769 წელს.

„ბასტიანი და ბასტიენა“ – ერთაქტიანი ოპერა ზინგშპილი, ფრიდრიხ ვილგელმ ვასიკერნის და იოჰან ანდრეას შახტნერის ლიბრეტოზე. პრემიერა შედგა 1768 წლის 1 ოქტომბერს. ამ სეპტაკლის შესახებ ინფორმაცია არ შემორჩენილა. მეორე დადგმა განხორციელდა მხოლოდ კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ ბერლინში 1890 წლის 2 ოქტომბერს.

Student International Conference

Program

Conference Organising Committee

Ermile Meskhia	Rector of Batumi Art State University, Professor, Chairman of Organising Committee
Maia Chichileishvili	Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences of Batumi Art State University, Professor
Sopio Tavadze	Coordinator of Scientific and Publishing Projects Management Department of Batumi Art State University, Associate Professor
Salome Chikashua	Specialist of Project management Department
Benefshe Temizkan	Dr. Coordinator of Project management Department
Gela Beridze	Head of Administration of Batumi Art State University
Nato Tskvitinidze	Head of Student Service Department
Nodar Geladze	President of Students' Self-governance

Conference Schedule

May 5

- 10.00-10.15 - Registration
- 10.15-10.30 - Conference Opening. Plenary Meeting
- 10.30-12.00 - Sessional Meeting I
- 12.00-12.30 - Coffee Break
- 12.30-14.00 - Sessional MeetingII
- 14.00-15.00 - Lunch
- 15.00-16.30 - Sessional MeetingIII
- 16.30-16.45 - Conference Summing up and Closing
- 16.45 - Coffee Break

Plenary Meeting

10.15 - *Conference Opening*

Ermile Meskhia Rector, Professor

Welcome Speeches

Maia Chichileishvili Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences,
Professor

Yasin Temizkan The Consul General of the Republic of Turkey to Batumi

May 6

10.30-12.30 - Cultural Program: Batumi Sightseeing

Time Limit

Presentations - 10 minutes

Discussions - 5 minutes

Section: Culture

10.30-12.00 – Sessional Meeting I

Moderator: Dr. Benefshe Temizkan

1. Teona Kuridze - The Meaning of Management in Culture

Batumi Art State Teaching University, Culture and Art Management Bachelor Program, 2nd year.

Scientific supervisor: Professor Nino Sanadiradze.

2. Vildan Yavuz - 2000-2015 Years Economic and Cultural Relations Between Turkey and Georgia

Recep Tayyip Erdogan University, Rize, PhD.

3. İlhami Tekin Cinemre - Historical Depth of the City of Trabzon: Conflict and Harmony

Trabzon Kara Deniz Technical University, PhD.

4. Ana Dzidziguri - Cultural Resources in Racha

Batumi Art State Teaching University, Culture and Art Management Bachelor Program, 3rd year.

Scientific supervisor: Professor Ermile Meskhia.

12.30-14.00 – Sessional Meeting II

Moderator: Ermile Meskhia, Professor

1. Mariam Kurashvili - Product Placement in Cinematography as a marketing tool for PR

Batumi Art State Teaching University, Culture and Art Management Bachelor Program, 2nd year.

Scientific supervisor: Associate Professor Sopio Tavadze.

2. Belgin Ilmam - The perception of plants on Anatolian Turkish Culture within the context of cultural landscaping and its usage as design shapes in Turkish handicrafts

Artvin Choruk University, Master's student.

3. Kamer Iğın Çakıroğlu - Georgia's Place in Turkish Tourism from Seasonal Perspective

Recep Tayyip Erdogan University, Rize, Master's student.

4. Ana Paichadze - Cultural Resources in Ozurgeti

Batumi Art State Teaching University, Culture and Art Management Bachelor Program, 4th year.

Scientific supervisor: Professor Ermile Meskhia.

15.00-16.30 – Sessional Meeting III

